

## სასჯელაღსრულების სამსახურის ერთიანი ავტომატიზებული სისტემა და მისი ინფორმაციული უსაფრთხოება

თინათინ კაიშაური, კორნელი ლიშარია, ნინო წიქლაური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ნაჩენებია თუ რა როლი შეიძლება ითამაშოს სასჯელაღსრულების სამსახურის ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შექმნაში მისი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო მოთხოვნების მაქსიმალურად დაკამაყოფილებაში. წარმოდგენილია პენიტენციალური სამსახურის ერთიანი ავტომატიზებული სისტემის აგების და მისი ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები. მოცემულია მისი და ცალკეული ქვესისტემის უზნებიონირების ზოგადი ბლოკ-სქემები.

**საკვანძო სიტყვები:** ავტომატიზებული სისტემა. პენიტენციალური სისტემა. ინფორმაციული ტექნოლოგიები. ინფორმაციული უსაფრთხოება. სიტუაციური ცენტრი.

### 1. შესავალი

პენიტენციალური (სასჯელაღსრულების) სამსახური წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს და აქ არსებული მდგომარეობა წარმოადგენს ერთგვარ ინდიკატორს სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების, ადამიანთა უფლებების დაცვის დონის თვალსაზრისით. პატიმართა უფლებების დაცვის მიხედვით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კატასტროფული მდგომარეობაა. ამ მხრივ გამონაკლის არც საქართველო წარმოადგენს. ამის დასტურია ის, რომ ჯერ კიდევ 2006 წელს საერთაშორისო ორგანიზაციის „პირან რაიოს ვოთჩ“-ის დასკვნით საქართველოში დარღვევებს ადგილი პქონდა სასჯელაღსრულების სისტემის (სას) ყველა რგოლში და ისინი ატარებდა მასობრივ ხასათს. წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა დაკავების ადგილებში პირობები და პატიმრებისადმი მოპყრობის რეჟიმი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა, თავისუფლად შეიძლებოდა არსებული რეჟიმის როგორც წამების კვალიფიცირება. აღნიშნული გარემოება თავისუფლად შეიძლება იქცეს ქვეყანაში სოციალური აფეთქების კატასტრორად და სერიოზული შეუშალოს ხელი სახელმწიფოს მდგრად განვითარებას. აუცილებელია ხელისუფლებამ გააძლიეროს სასჯელაღსრულების სისტემის მოდერნიზაცია-სრულყოფა, პატიმართა უფლებების „პირან რაიოს ვოთჩ“-ის რეკომენდაციების მიხედვით დაცვის უზრუნველყოფა.


პენიტენციალურ სისტემაში არსებული მდგომარეობის დაძლევა და აღნიშნული რეკომენდაციების რეალიზაცია, ფაქტობრივად, შეუძლებელია თუ არ შეიქმნება სას-ის სრულმასტერიანი, თანამედროვე IT-ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ერთიანი ავტომატიზებული სისტემა, რომელიც პირველ რიგში, შესაძლებელს გახდის სას-ის აღმინისტრაციის მხრიდან თვითნებური, სუბიექტური მოქმედებების მინიმიზებას და პრინციპის – ყველა არაკანონიერი მოქმედება კონტროლირებადი და დასჯადია გახორციელებას.

### 2. ძირითადი ნაწილი

სას-ის ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შექმნა როგორიცაც და მარაგალასპექტიანი ამოცანაა. ერთიანი ავტომატიზებული სისტემების (ეას) შექმნას საფუძვლად შეიძლება დავუდოთ კომპლექსურობის პრინციპი - ორგანიზაციული მართვა, პლუს ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც ინფორმაციული უზრუნველყოფის, ასევე ყველასი და ყველაფრის, რაც დაკავშირებულია სას-ის ნორმალურ ფუნქციონირებასთან. მთავარი მოთხოვანა რაც წაეყენება ეას- ესაა დროის ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი იყოს შეფასდეს სასჯელაღსრულების სისტემის ფუნქციონალური მდგომარეობა: შეესაბამება ნორმებს; არის ცალკეული უმნიშვნელო გადახრები, რომელთა გასწორებაც სას-ის და მისი ობიექტების ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია; არსებობს ტენდენციები, რომლებიც მოითხოვს ანალიზს და საჭირო შეფასებებს რამდენად საგანგაშოა ეს ტენდენციები და მიღებული იქნას ცენტრალიზებულად მართვის გადაწყვეტილება; დარღვევებმა ცალკეულ ობიექტებზე მიღილის საშირი, ნორმიდან ხშირად გადახრის ხასიათი და საჭიროა ცენტრიდან ჩართვა; ცალკეულ ობიექტზე ან ობიექტებზე წარმოიქმნა საგანგაშო სიტუაცია და საჭიროა სწრაფი რეაგირება და ა.შ. ესაა ეას-ის სიტუაციური ცენტრის დანიშნულება, რომელიც ვალდებულია სას იუსტიციის სამინისტრო და საჭიროებისას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ჩაყენოს საქმის კურსში სისტემაში მიმდინარე არსებულ მდგომარეობაზე და საჭიროებისას მიღილის და განახორციელოს საჭირო მითითებები მიმდინარე პროცესთან, სიტუაციასთნ დაკავშირებით. ეას ერთდროულად უნდა უზრუნველყოს მსაჯავრდებულების, სას-ის პერსონალის უფლებების დაცვა და მოვალეობის შესრულების კონტროლი და მართვა.

სიტუაციური ცენტრი უნდა უზრუნველყოფდეს ნებისმიერ ობიექტზე დარღვევათა დაფიქსირების და სტატისტიკური მონაცემების შეგროვბას, რაც ხელს შეუწყობს აღმინისტრაციული თუ სასჯელაღსრულების სისტემის ფუნქციონირებაში არსებული დარღვევების გამოვლენას და მათი ოპერატორიულად დაძლევის უზრუნველყოფას, ან გეგმაზომიერად დადგებით, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნების განხორციელებას. სიტუაციური ცენტრის სტატისტიკური თუ სხვა მონაცემთა ბაზები შესაძლებელს გახდის კანონიერების უზრუნველყოფის დამკვიდრებას და ხელს შეუწყობს აღმინისტრაციის თუ

მსჯავრდებულების მხრიდან ნებისმიერი სახის კანონდარღვევების ოპერატორულად გამოძიებას. ცხადია, ეს-ის შექმნისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჭირო მატერიალური თუ სხვა რესურსების არსებობას, ასევე აუცილებელია გამოვლინებეს ყველა სახის (შემთხვევითი თუ წინასწარგაზრახული) ხასიათის მუქარები, ასევე ის სუსტი მხარეები რაც მომდინარეობს კონკრეტული სახელმწიფო სისტემის მოწყობის ხასიათისა და მდგომარეობიდან (ნახ.1).



ნახ.1. სასჯელალსრულების სისტემის ერთიანი მართვის აუტომატიზებული სისტემის ზოგადი სქემა

ეს-ის შექმნისას უმთავრესია სას-ის შემადგენლობაში შემავალი ყველა ობიექტის გამოვლენა:

ა) მოხდეს დასაცავი ობიექტის კატეგორიებია. მათი კატეგორიების მიხედვით დაჯგუფება და განლაგების ადგილების დასასიათება; ბ) გამოვლინდეს ობიექტებს შორის და ცენტრთან არსებული და შესაქმნელი კომუნიკაციები. ამ დროს შესაძლო საფრთხეები; გ) გამოვლინდეს ხელისუფლების ორგანოებთან არსებული და შესაქმნელი კომუნიკაციები, ამ დროს შესაძლო საფრთხეები; დ) განისაზღვროს ინტერნეტთან დაშვების სისტემა, ამ დროს შესაძლო საფრთხეები და მათგან დაცვის საშუალებები; ე) დადგინდეს სახელმწიფოს საგანგებო სიტუაციათა მართვისა და ლიკვიდაციის ცენტრთან კაშირის წესი და პირობები.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ კატეგორიებული ობიექტების (კო) უსაფრთხოება, ნათლად უნდა განისაზღვროს თუ რა სახის ურთიერთობებს (კო-ს ადმინისტრაცია-პატიმარი, ვიზიტორი-პატიმარი-ზედამხედველი, გარე სამყარო- პატიმარი, პატიმარი-პატიმარი, და ა.შ.) შეიძლება პჰონდეს ადგილი და ეს ურთიერთობები უნდა იყოს დაფიქსირებული კო-ს შიგა განაწესში და უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში მოქმედ სამართლებრივ დოკუმენტებს და ცხადია, მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული საერთაშორისო მოთხოვნები. ეს-ის შემადგენლობაში აუცილებლად იქნება ჩართული კო-ებზე ადმინისტრაციის და პატიმართა მიერ შიდა განაწესის-კანონით განაზღვრული უფლება-მოვალეობების და აკრძალული ქმედებების კონტროლის ქვესისტემა.

აქტიურად პენიტენციალური სამასაზურის ნებისმიერი კატეგორიებული ობიექტი განეკუთვნება განსაკუთრებით საშიში ობიექტის კატეგორიას, სადაც ნებისმიერი შემთხვევითი თუ წინასწარ განსაზღვრული მუქარების დროულად აღმოჩენლობამ და მათმა რეალიზაციამ შეიძლება გამოიწიოს სერიოზული ზარალი, ადამიანების დაღუპვის ჩათვლით, ამიტომ ეს-ის შემადგენლობაში უნდა იყოს საგანგებო ან კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების ქვესისტემა, რომლის ფუნქციონირება უნდა ემყარებოდეს შემდეგ ფაქტორებს:

ა) დადგინდეს სიტუაციის ზოგადი შეფასების და კრიზისული მდგომარეობის გამოვლენის კრიტერიუმები (მაჩვენებლები); ბ) მოხდეს კრიზისული სიტუაციების რანჟირება შესაძლო შედეგებისა და მასშტაბების გათვალისწინებით; გ) განისაზღვროს რანჟირებული კრიზისული სიტუაციის შესაძლო დადგომისას განგშის გამოცხადების და ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ეს სიტუაციურ ცენტრთან, სამართალდამცავ ორგანოებთან და ა. შ. კავშირის დამყარების წესი; დ) განისაზღვროს რანჟირებული კრიზისული სიტუაციის დაგომისას ადგილობრივი რესურსებისა და ცენტრალური რესურსების მობილიზაციის და კრიზისული სიტუაციების განმუხტვა-ლიკვიდაციის წესი.


კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების სისტემას თავისი მართვის ცენტრები უნდა გააჩნდეს ყველა მნიშვნელოვან კატეგორიულებულ ობიექტზე, ეს-ის სიტუაციურ ცენტრში და კავშირი უნდა ქონდეს სახელმწიფოს საგანგებო სიტუაციათა მართვისა და ღიავიდაციის ცენტრთან. კატეგორიულებულ ობიექტებზე საგანგებო (კრიზისული) სიტუაციების დადგომის თავიდან აცილების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს კო-ს ფიზიკური დაცვის სისტემას (ფდს). ფდს-ს ძირითადი კომპონენტები უნდა იყოს:

ა) დაცვის ქვესისტემები: პატიმურის დაცვა და კონტროლირებადი ზონების ორგანიზაცია; ობიექტების შეგა დაცვა, დაცვის პოსტები; ბ) დაცვის სახე: ფიზიკური დაცვა ცოცხალი ძალის გამოყენით, დაცვის ელექტრონული სისტემა; ზანარსაწინააღმდეგო საშუალებები; დამცავი ბარიერები (კედლები, მავთულბლართები და ა.შ.); გ) დაცვის ქვესისტემის კავშირები კო-ს კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების მართვის ცენტრიდან.

ორგანიზაციული და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესების სამართავად თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება პატიმართა უფლებების დაცვა და ადმინისტრაციის მხრიდან წებისმიერი მოქმედებების გაკონტროლება მათი კანონიერების, ოპერატორობის თვალსაზრისით მაქსიმალურად უზრუნველყოფილის საშუალებას იძლევა. პირველ რიგში განვიხილოთ ეს-ში პატიმართა ყოფაქცევისა და სიტუაციათა კონტროლის (მონიტორინგის) ქვესისტემების აგების ძირითადი პრინციპები. უნდა შეიქმნას პატიმართა ორი ტიპის მონაცემთა ბაზები: 1. პატიმრის ბიოგრაფიული მონაცემების და სასჯელოან დაკავშირებული მონაცემების ბაზა პირობითად მას ვუწოდოთ, პატიმართა სტატისტიკური მონაცემთა ბაზა (პმ1); 2. პატიმრის პენიტენციალურ დაწესებულებაში ყოფნისას მისი ყოფაქცევის მონაცემების ბაზა-სტატისტიკური მონაცემების ბაზა (პმ2).

პატიმართა ყოფაქცევის კონტროლის სისტემა საჯელოალსრულების სამსახურის უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი რგოლია და მისი ძირითადი ფუნქციები (ნახ.2) შემდეგაა ასე ჩამოვაყალიბოთ:

ა) განისაზღვროს პატიმრის (მსჯავრდებულის) ყოფაქცევის შეფასების საკაონმდებლო და საერთაშორისო ნომრების მიხედვით; ბ) განისაზღვროს მსჯავრდებულის შეწყალების წარდგენის, სასჯელის გადახედვის ან ცვლილებების გარეშე დატოვების კრიტერიუმები.




ნახ.2. პატიმართა ყოფაქცევის კონტროლის ქვესისტემა

ვგულისხმობთ, რომ პატიმართა ყოფაქცევის კონტროლის სისტემის ფუნქციონირება უნდა ზდებოდეს პენიტენციალური სისიტემის კონკრეტული დაწესებულების მონიტორინგის კომისიის ზედამხედველობით, რომელმაც საბოლოო შედეგები უნდა შეათანხმოს პენიტენციალური სისიტემის ნაციონალური მონიტორინგის კომისიასთან. სიტუაციური კონტროლის ქვესისტემის ძირითადი ამოცანა პენიტენციალურ დაწესებულებაში შესაძლო საფრთხეების (აქ არ ვგულისხმობთ ბუნებრივი კატასტროფებით, შემთხვევით ფაქტორებით გამოწვეულ საგანგაშო სიტუაციებს) დროულად აღმოჩენა, მათი ლოკალიზება და ნეიტრალიზება, უკიდურეს შემთხვევაში კი რეალიზებული მუქარებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია. ამ შემთხვევაში საფრთხეებში ვგულისხმობთ ყველა იმ მოქმედებას, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს პატიმრის, ან პატიმართა ჯგუფისაგან, შიდა თუ გარე ხელშემწყობი ფაქტორების მოქმედების პირობებში, თანაც ეს

საფრთხეები შეიძლება იყოს შემთხვევითი სტიქიური ხასიათის ან წინასწარ განზრახული დაგეგმილი მოქმედებების შედეგი.

სიტუაციათა კონტროლის ქვესისტემა (სკეს) იღებს კატეგორიულ სიტუაციურ სიგნალს (ნახ.3), რომლის წყარო შეიძლება იყოს ეს ვიდეოთვალთვალის ქვესისტემა, ფიზიკური დაცვის ელექტრონული ქვესისტემა. პატიმართა ინდივიდუალურ გადადგილებათა კონტროლის ქვესისტემიდან პენიტენციალური დაწესებულების ზედამხედველთა ჯგუფიდან, ზედამხედველთა ჯგუფის მოქმედებათა კონტროლის ელექტრონული ქვესისტემიდან. „მიმდინარე სიტუაცია“ ნიშნავს დროის ნებისმიერ მომენტში პატიმრის ადგილსაყოფლის და საქმიანობის ზუსტად წარმოდგენას. პატიმართა დღის განაწესის მონაცემთა ბაზის (პმბ) მეშვეობით. რაც შეეხება კატეგორიულ სიტუაციურ სიგნალს, ის შეიძლება სკეს-ის მოთხოვნით იქნას მიღებული და აუცილებელი არაა იყოს განგაშის მაუწყებლი. ერთდროულად ხდება მიმდინარე სიტუაციის საგანგაშო სიტუაციათა მოდელებთან შედარება და შედარების შედეგების შეფასება. ასეთი შეფასებები სკეს ხდება წინასწარ დადგენილი გარკვეული პერიოდულობით. განგაშის სიგნალის მიღებისას კი ქვესისტემა მომენტალურად გადადის მიმდინარე სიტუაციის შეფასებაზე და იძლევა შესაბამის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.




ნახ.3. პენიტენციალურ დაწესებულებაში სიტუაციათა კონტროლის ქვესისტემა

ას სიტუაციათა კონტროლის ქვესისტემის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი უნდა იყოს კო-ზე ორგანიზებული ვიდეოთვალთვალის სისტემა თავისი ფიზიკური დაცვის აპარატურული საშუალებების მონიტორინგის ქვესისტემით. კატეგორიულ მიმეტებზე ვიდეოთვალთვალის სისტემა ახორციელებს სიტუაციათა ვიდეო ბაზების, საგანგაშო სიტუაციათა ცოდნის ბაზების შეეხებასა და გამოყენებას. ხოლო სიტუაციათა კონტროლის პუნქტი ოპერატორთან ერთად ახდენს კატეგორიულ სიტუაციურ სიგნალის გამომუშავებას (ნახ.4). ვიდეოთვალთვალის სისტემის (გთხ) ოპერატორი ასევე აპონტროლებს ფიზიკური დაცვის აპარატურული საშუალებების მიერ გამომუშავებული კატეგორიული სიტუაციური სიგნალის მიღებასა და შეფასებას.

ეს და მთელი სასჯელადსრულების სისტემის გამართული და სამართლებრივი ფუნქციონირება მთლიანად დამოკიდებულია სისტემაში მომუშავე თანამდებობების პირების და მთელი პერსონალის უნარზე ყოველგვარი დარღვევების გარეშე შეასრულოს მათზე დაკისრებული მოვალეობები. ეს კი ცხადია დაგავშირებულია მათ უნარ-ჩვევებთან, გაწვრთნილობასა და თავისი მოვალეობების ზედმიწევნით ზუსტად ცოდნასთან. განსაკუთებით კატეგორიულ მიმეტებზე მომუშავე პერსონალს მოეთხოვება ზედმიწევნით იციდეს თავისი მოვალეობები, უფლებები, პატიმრებთან და მათ სანახავად მოსულ პირებთან მოცყრობის წესები, აკრძალული მოქმედებები და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ სასჯელადსრულების ნებისმიერი ობიექტი და მთლიანად სისტემა ქვეყნაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების კატეგორიას

განეკუთვნება, საჭიროა ეს შემადგენლობაში ფუნქციონირებდეს კო-ს პერსონალის მზადყოფნის მონიტორინგის სისტემაც რაც სრულად შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს.



ნახ.4. კატეგორიირებულ ობიექტზე ვიდეოთვალთვალის სისტემა

### 3. დასკვნა

სახელმწიფო სასჯელაღსრულების სისტემის ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შექმნის ჩვენ მიერ წარმოდგენილი კონცეფციიდან ნათლად ჩანს, რომ დღეს ახეთი მაღალტექნილობიური და ინტელექტური დაფუძნებული ავტომატიზებული სისტემის გარეშე შეუძლებელია სას-ში რამე სერიოზული გარდაქმნის განხორციელება, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო ორგანიზაციის “ჰიუმან რაიტს ვოთჩ”-ის რეკომენდირების გათვალისწინებასა და პრაქტიკაში რეალიზებაზე.

#### ლიტერატურა:

- |                                      |                        |
|--------------------------------------|------------------------|
| 1. :<br>2006 წ. სექტემბრის ანგარიში. | – ჰიუმან რაიტს ვოთჩ-ის |
|--------------------------------------|------------------------|

## UNITED AUTOMATED SYSTEM OF PENITENTIAL SERVICE AND INFORMATION SECURITY

Kaishauri Tinatin, Odisharia Korneli, Tsiklauri Nino  
Georgian Technical University

#### Summary

The represented paper deals with the problem of the creation of united automatic system of penitential system and its role in improving its working quality and matching the international needs is shown (in the article). There are given the formation of united automatic system (UAS) of penitential system and the basic principles of providing its information safety. The general block-diagrams of UAS and its each sub-system are also presented.

## ЕДИНАЯ АВТОМАТИЗИРОВАННАЯ СИСТЕМА ПЕНИТЕНЦИАЛЬНОЙ СЛУЖБЫ И ОБЕСПЕЧЕНИЕ ЕЕ ИНФОРМАЦИОННОЙ БЕЗОПАСНОСТИ

, Одишария К. Циклаури Н  
Грузинский Технический Университет

#### Резюме

Показано, какую роль может играть создание единой автоматизированной системы в пенитенциальной системе для улучшения качества работы и максимального удовлетворения международных требований. Представлены основные принципы построения единой автоматизированной системы пенитенциальной службы и обеспечения ее информационной безопасности. Даны общие блок-схемы функционирования системы в целом и ее отдельных подсистем.